პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 97 (10794)
სამშაბათი
23
აპრილი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინიზმის ყოვლისძლე დროშით

## საზეიმო კრება სსრ კავშირის დიდ თეატრში

ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ 22 აპრილს ზეიმით აღნიშნა საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, კომუნისტური პარტიის ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავი.

22 აპრილს მოსკოვში დიდ თეატრში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა დიდი ბელადის დაბადების 87-ე წლისთავს. აქ შეიკრიბნენ ჩვენი პარტიის ვეტერანები და ახალგაზრდობა, მუშები და სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები და მწერლები, საბჭოთა არმიის მეომრები და მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები.

ექვსი საათია. დარბაზში იწყება მქუხარე ოვაცია — პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ აგრეთვე ამხანაგები ა. დ. ბლოხინი, ვ. ა. კარპინსკი, ნ. ნ. კოლესნიკოვა, გ. ი. პეტროვსკი, ე. დ. სტასოვა, ლ. ა. ფოტიევა და ძველი ლენინური გვარდიის სხვა ვეტერანები, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან.

საზეიმო სხდომას ხსნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. დარბაზში გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ე. ა. ფურცევას, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მომხსენებელი ლაპარაკობს ლენინის იდეების უკვდავებაზე, რომლებიც საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებენ კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად, ლაპარაკობს ლენინის — გენიალური მოაზროვნისა და გარდამქმნელის, დიდი ჰუმანისტისა და ყოველგვარი ფორმის ჩაგვრის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლის გმირულ ცხოვრებაზე. დაახასიათა რა ვ. ი. ლენინის როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, რომელიც მარქსისტულ-ლენინური იდეების ტრიუმფი იყო, ამხ. ფურცევა დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ლენინური გეგმა.

დასასრულ მომხსენებელი ლაპარაკობს კლასობრივ ბრძოლებში გამობრძმედილი ჩვენი კომუნისტური პარტიის დიდი როლის შესახებ, რომლის ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობის საქმე მიყვანილ იქნება სრულ გამარჯვებამდე.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან მომხსენებლის საბოლოო სიტყვებს:

— მშრომელთა შეგნებაში მარად იცოცხლებს სახე ლენინისა — დიდი რევოლუციონერისა და გენიალური ბელადისა, რომელმაც კაცობრიობას ნათელი მომავლის გზა უჩვენა.

დაე ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს დიდი ლენინის უკვდავი დროშა, კომუნიზმის დროშა!

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. მას აღფრთოვანებით მღერის ორი ათასი დამსწრე დიდი თეატრის დარბაზში.

სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

* * *

ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე კიევში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, მინსკში, თბილისში, ფრუნზეში, ვილნიუსში, ერევანში, რიგაში, ტალინში, სტალინაბადში, ბაქოში, ულან-უდეში, სიკტივკარში, არხანგელსკში, იუჟნო-სახალინსკში, კუიბიშევში, სტალინსკში, ტულასა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

(საქდესი).

# ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

საქართველოს მშრომელებმა ზეიმით, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული აღნიშნეს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავი.

22 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები.

სცენის სიღრმეში ცოცხალ ყვავილებში ჩასმულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი სკულპტურული პორტრეტი. ოქროსფრად ბრწყინავს ციფრები: „1870-1957“. საბრძოლო დროშებთან საპატიო ვახტზე დგას სამხედრო ყარაული. წითელ ქსოვილზე ელვარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ი. ფედიუნინსკი, პ. ვ. კოვანოვი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, პარტიის ძველი წევრები — რევოლუციის ვეტერანები, მინისტრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

სიტყვა მოხსენებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ზ. ა. კვაჭაძეს. იგი ამბობს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მილიონობით ადამიანი ღრმა სიყვარულით წარმოთქვამს დიდი ლენინის სახელს, რომელმაც თავისი გენიით გააშუქა კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლების გზა, ძველი სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის გზა.

ლენინმა სამი რევოლუციის კლასობრივ ბრძოლებში შექმნა და გამოაწრთო დიადი კომუნისტური პარტია, რომელიც გახდა ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ლენინმა დააარსა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა იმედისა და იდეალების ცოცხალი განსახიერება.

მომხსენებელი შემდეგ ლაპარაკობს, თუ რა დიდი და სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინიზმის დროშით. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვევია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ. საბჭოთა ხელისუფლების 40 წელიწადში — კაცობრიობის ისტორიაში ამ მცირე ვადის მანძილზე ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებმა ერთიან ძმურ ოჯახში გიგანტური წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა კავშირი დიდი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდა.

ამხ. კვაჭაძე ეხება საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დახმარებით. ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, იმკის კომუნისტური პარტიის ლენინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკის ნაყოფს.

საქართველოს მშრომელები, მონაწილეობენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ასანიშნავ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. მრეწველობის მართვის გარდასაქმნელად ლენინური პრინციპების საფუძველზე კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, სამშობლოს ძლიერების გადიდებას.

განაგრძობს რა მოხსენებას, ამხ. კვაჭაძე ლაპარაკობს იმაზე, რომ ლენინის იდეები ძლიერ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ლენინური იდეების დიადი გარდამქმნელი ძალის ცოცხალი განსახიერებაა მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის, სოციალიზმის ყველა ქვეყნის მშრომელთა თანამშრომლობა, ძმური მეგობრობა. მშრომელთა ეს თანამშრომლობა და ურღვევი მეგობრობა, ინტერნაციონალური ერთიანობა იმის საიმედო გარანტიაა, რომ რეაქციონერთა, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები ჩაიფუშება.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან მომხსენებლის საბოლოო სიტყვებს: გაუმარჯოს ლენინის უკვდავ სახელს, გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისძლე მოძღვრებას. დარბაზში მძლავრად ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის ელჩი ს. კადოვაკი

20 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სუემიცუ კადოვაკი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საქდესი).

# დეპეშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

## ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

## ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

## ამხანაგ ა. ა. გრომიკოს

გულითადად მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მე-12 წლისთავს.

12 წლის წინათ დადებულ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ცოცხალი და გარდუვალი ღირებულება აქვს ჩვენი ხალხებისათვის, ვინაიდან იგი ამოიცენდა საუკეთესო ტრადიციებიდან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებიდან, რომელიც ასულდგმულებდა პოლონეთისა და რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას, იარაღის ძმობიდან ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლების ველებზე, ისტორიული გამოცდილებიდან, რომელიც ცხადყოფს, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა ჩვენი საერთო უშიშროებისა და მშვიდობიანი ცხოვრების დამცველი მძლავრი ფარია.

ამ ხელშეკრულებამ განახორციელა თანაარსებობის პრინციპები, რომლებიც დამყარებულია სუვერენიტეტის, თანასწორობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის პატივისცემაზე. მან ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას მის სამართლიან საზღვრებში და გაგვიადვილა სოციალისტური გარდაქმნების გზაზე დადგომა, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ხალხის მტკიცე მონაპოვარს და რომლებმაც განსაზღვრა სოციალისტური განვითარების მისი გზა. კავშირისა და მეგობრობის საფუძვლები, რომლებმაც თავიანთი გამოხატულება ჰპოვა ამ ხელშეკრულებაში, განმტკიცდა ორივე ჩვენი ხალხის ნებით პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1956 წლის 18 ნოემბრის ერთობლივ დეკლარაციაში.

12 წლის წინათ ხელმოწერილი ხელშეკრულება გახდა ჩვენი საერთო და მტკიცე წვლილი მშვიდობის საქმეში. ჩვენმა ქვეყნებმა თავიანთი ძალები გააერთიანეს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის, სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გზის გაკაფვისათვის, ყოველგვარი აგრესიული გეგმებისა და ახალი სამხედრო კონფლიქტების წინააღმდეგ სოლიდარულ ბრძოლაში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების 12 წლისთავის დღეს გულწრფელად გისურვებთ ყოველ კეთილს, ღრმად გვწამს, რომ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის.

ალექსანდრე **ზავადსკი**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

იუზეფ **ცირანკევიჩი**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ადამ **რაპაცკი**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

1957 წლის 19 აპრილი,
ვარშავა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

## ამხანაგ ალექსანდრე ზავადსკის

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

## ამხანაგ იუზეფ ცირანკევიჩს

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

## ამხანაგ ადამ რაპაცკის

უგულითადესად მოგილოცავთ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მეთორმეტე წლისთავს თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს.

გასული თორმეტი წლის ამბებმა თვალნათლივ დაარწმუნა ჩვენი ქვეყნების ხალხები იმაში, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულებამ, რომელიც დამყარებულია თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების პატივისცემის ლენინურ პრინციპებზე და რომელიც გამოხატავს საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ხასიათს, შექმნა საჭირო პირობები ჩვენს ქვეყნებს შორის ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობისათვის, მძლავრი ძალა გახდა სოციალიზმის დიადი საქმისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მეგობრობა, რომელსაც ესოდენ მდიდარი რევოლუციური ტრადიციები აქვს, რომელმაც გამოიარა მკაცრი განსაცდელი მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ გმირულ ბრძოლაში და რომელიც გამდიდრებულია ომისშემდგომ პერიოდში მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებით, კვლავაც წარმატებით განვითარდება და განმტკიცდება, იგი საიმედო ბურჯია რეაქციის ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია ამ მეგობრობის კავშირის შესუსტება, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის შესუსტება.

ამის დამაჯერებელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციებს შორის მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელმაც შექმნა ფართო შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის და რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი ქვეყნების ხალხებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მთავრობა მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მოძმე პოლონელ ხალხსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებენ ყოველგვარ კეთილდღეობას და წარმატებებს სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის საქმეში, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის საბრძოლველად სოციალისტური ბანაკის ძალების დარაზმვაში.

სამარადისო და ურღვევი იყოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობა!

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი |
|---|---|---|
| კ. ვოროშილოვი | ნ. ბულგანინი | ა. გრომიკო |

## ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა მახარაძეში



მახარაძე, 22 აპრილი. (საქდესი). 22 აპრილს ქალაქ მახარაძეში ლენინის სახელობის მოედანზე საზეიმო ვითარებაში გახსნეს მშრომელთა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი. ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე შეიკრიბნენ მეჩაიე კოლმეურნეები, ქალაქის საწარმოთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. დამსწრეთა შორის ბევრია ბათუმის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და სხვა მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენელი. აქვე არიან უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონიდან ჩამოსული სტუმრები.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას დაესწრნენ აგრეთვე სტუმრები — წევრები ჩეხოსლოვაკიის კინოხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციისა, რომელიც საქართველოში იმყოფება.

მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ხაბაშვილმა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანს შ. ჰანუყვაძეს. იგი ლაპარაკობს ლენინური იდეების მძლავრ ძალაზე, რომლებიც ხორციელდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წარმატებებზე, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ.

მიტინგზე გამოვიდნენ სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ი. გორგილაძე, ძველი ბოლშევიკი, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმის მცხოვრები პენსიონერი ს. ცინცაძე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. კაკაბაძე, ქალაქ მახარაძის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. მეხუზლა, ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურის“ ოსტატი ნ. შუვალოვი და სხვები.

პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში ა. სუსლიკმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, ილაპარაკა ხალხთა ლენინური მეგობრობის დიად ძალაზე.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ.

ვ. ი. ლენინის ძეგლი დადგმულია კურსების გრანიტით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე, რომლის სიმაღლეა 7,8 მეტრი. კვარცხლბეკის ავტორია არქიტექტორი ნ. საბაშვილი. ვ. ი. ლენინის ქანდაკების ავტორია მოქანდაკე შ. მიქატაძე. სკულპტურული ფიგურის სიმაღლე უდრის 6 მეტრს. იგი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში“.

ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა იყო დიდი ბელადისადმი მშრომელთა სიყვარულის, კომუნისტური პარტიისადმი მათი ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინური გზით—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

## ამხ. ე. ა. ფურცევას მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ კომუნიზმის დიდი თეორეტიკოსის, მუშათა კლასის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავს.

ლენინის სახელი მუდამ იქნება ყველაზე ძვირფასი, ახლობელი და მშობლიური მილიონობით ადამიანისათვის. დრო ვერ აკნინებს მის უჭკნობ დიდებას. მისი უკვდავი იდეები შთააგონებენ ადამიანებს, რომლებიც, ერთგულნი თავიანთი დიდი მასწავლებლის ანდერძს, აშენებენ კომუნიზმს მის ბრძნულ წინასწარდასახულობათა მიხედვით.

ლენინი დიდი პროლეტარული რევოლუციონერი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს ლენინმა გააერთიანა მუშათა მარქსისტული წრეები რევოლუციონერთა მებრძოლ კავშირად, საფუძველი ჩაუყარა რა რუსეთში პროლეტარულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას.

რუსეთის პირველი რევოლუციის რევოლუციური ბრძოლების ცეცხლში, რეაქციისა და იმპერიალისტური ომის პერიოდის მძიმე განსაცდელში ლენინი აწრთობდა პარტიას, ამზადებდა მას გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დასამხობად. ლენინი იყო სულისჩამდგმელი და ბელადი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლითაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

ჰქონდა რა ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა არაჩვეულებრივი განჭვრეტის ნიჭი, მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარებისა და ცოცხალი სინამდვილისადმი მისი შეფარდების უნარი, გამოირჩეოდა რა მასების ორგანიზატორის შესანიშნავი ნიჭით, ლენინი გახდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აღიარებული ბელადი.

ხალხის მასების შეგნებაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი განუყოფელია მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის სახელისაგან. ამიტომ დიად რევოლუციურ მოძღვრებას კომუნიზმის შესახებ მშრომელი კაცობრიობა უწოდებს მარქსიზმ-ლენინიზმს.

ლენინიზმი, როგორც ჩვენი ეპოქის შემოქმედებითი მარქსიზმი, გაიზარდა და გამოიწრთო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მრავალი წლის ბრძოლაში ლენინმა არა მარტო დაიცვა მარქსიზმი, არამედ აგრეთვე განავითარა იგი ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად.

ლენინი იყო დიდი მოაზროვნე და გარდამქმნელი, რომელმაც კაცობრიობას დაუსახა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გზა. გენიალური გონების ადამიანი — ლენინი ამავე დროს გულისხმიერი იყო. გულისხმიერება, სულიერი სისადავე, ადამიანებისადმი ამხანაგური დამოკიდებულება მისი ხასიათის განმასხვავებელი თვისებები იყო. „ყველაზე ადამიანური ადამიანი", იგი იყო დიდი ჰუმანისტი და ჩაგვრის ყველა ფორმის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი, მშრომელთა მტრებისადმი შეურიგებელი. დაუცხრომელი გმირული ბრძოლა, გიგანტური თავდადებული შრომა დედამიწაზე სოციალური სამართლიანობის, ადამიანთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის დამყარებისათვის — ასეთი იყო ჩვენი მასწავლებლის ცხოვრება.

ლენინის მთელი მრავალფეროვანი მოღვაწეობა მუდამ შერწყმული იყო ბოლშევიკური პარტიის ბრძოლასა და მოღვაწეობასთან. რაზედაც უნდა ელაპარაკნა და ეწერა ლენინს, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა პარტიის განმსაზღვრელ როლს კომუნისტურ მშენებლობაში, მის პასუხისმგებლობას ხალხისა და ისტორიის წინაშე. დამახასიათებელია, რომ თავისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს კრებაზე, რომელიც ამის გამო მოაწყო პარტიის მოსკოვის კომიტეტმა 1920 წლის 23 აპრილს, ვლადიმერ ილიას-ძემ თავისი სიტყვა პარტიას მიუძღვნა. მან მოაგონა კრებას პარტიის როლი და ამოცანები, უზომო სიძნელეები, რომლებიც უნდა გადაელახა პარტიას, ის დიდი იმედები, რომლებსაც რუსეთის რევოლუციაზე ამყარებდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. განვლილი წლები ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მონაპოვრების უცილობელი დადასტურებაა, პარტიისა, რომელიც განუხრელად მიდის წინ ლენინური გზით.

ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების დღეს წელს ისეთ ვითარებაში აღვნიშნავთ, როცა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიოს მშრომელები ემზადებიან ზეიმით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, რევოლუციისა, რომელიც მოხდა უშუალოდ ლენინის ხელმძღვანელობით.

ორმოცი წლის წინათ აპრილის დღეებში, რომლებიც მოასწავებდნენ ხალხის განთავისუფლების ნამდვილ გაზაფხულს, ლენინი ემიგრაციიდან პეტროგრადში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ მოძრაობას. მისმა ცნობილმა „აპრილის თეზისებმა" მოგვცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის გენიალური გეგმა. ეს შემოქმედებითი მარქსიზმის თვალსაჩინო საპროგრამო დოკუმენტი იყო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ტრიუმფია მარქსისტულ-ლენინური იდეებისა, რომლებმაც ამ რევოლუციაში ჰპოვა დადასტურება და პრაქტიკული განხორციელება. გამარჯვების მაუწყებელმა ოქტომბრის ზალპებმა მთელ მსოფლიოში ასეულ მილიონობით ადამიანი გამოაღვიძა, დარაზმა ისინი კაპიტალისტური და კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. სსრ კავშირში მომხდარმა სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიოს ყველა ხალხს გაუხსნა ძირითადი, მაგისტრალური გზა კომუნიზმისაკენ.

ბევრი რამ შეიცვალა 40 წლიწადში დედამიწაზე. ახლა კაპიტალიზმის სისტემასთან ერთად არსებობს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, სოციალისტური ქვეყნების მძლავრი თანამეგობრობა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება. ჩვენ ეს მიგვაჩნია ლენინის იდეების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების განხორციელებად.

მარქსისტულ-ლენინური თეორია დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა ყველა ქვეყნის კომუნისტებისათვის. იგი კომუნისტურ პარტიებს აიარაღებს სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიისა და ტაქტიკის მეცნიერული გაგებით, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ძირითად კანონზომიერებათა ცოდნით. ლენინის იდეები განსახიერდა და შემდგომ განვითარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების გადაწყვეტილებებსა და საქმეებში.

ლენინიზმი ჩვენი ძლევამოსილი დროშაა, ჩვენი საბრძოლო იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ლენინიზმისადმი ერთგულება ჩვენი ძალისა და ჩვენი საქმის უძლეველობის წყაროა.

### 1. კომუნისტური მშენებლობის ლენინური გეგმა ხორციელდება

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დარწმუნებული არიან, რომ სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გზა, რომელიც შემოწმებულია სსრ კავშირის 40 წლის გამოცდილებით, ერთადერთი სწორი გზაა. ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, თანასწორუფლებიან თავისუფალ ხალხთა მეგობრობის გზა, როცა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობაში ხელმძღვანელი როლი კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის.

ეყრდნობოდა რა მარქსისა და ენგელსის ფუძემდებელ იდეებს, მათ მიერ შექმნილ მეცნიერული კომუნიზმის თეორიას, ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, მისი ისტორიული დანიშნულების შესახებ. „სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრების არსი, — წერდა ლენინი, — შეთვისებული აქვს მხოლოდ იმას, ვინც გაიგო, რომ **ერთი** კლასის დიქტატურა აუცილებელია არა მარტო ყოველი კლასობრივი საზოგადოებისათვის საერთოდ, არა მარტო **პროლეტარიატისათვის**, რომელსაც ბურჟუაზია დაუმხია, არამედ მთელი იმ **ისტორიული პერიოდისათვისაც**, რომელიც კაპიტალიზმს ჰყოფს „უკლასო საზოგადოებისაგან", კომუნიზმისაგან". (თხზ., ტომი 25, გვ. 508).

ლენინის ამ უმნიშვნელოვანეს აზრს განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება თანამედროვე პირობებში, როცა ზოგი ვინმე, „დოგმატიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის სახით, ცდილობს რევიზია გაუკეთოს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მის მთავარ, ცენტრალურ პუნქტში, უარყოფს რა პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას და ქადაგებს სახელმწიფოს კვდომას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ანგარიშს არ უწევს რა იმპერიალისტური ბანაკის არსებობას. პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინური პრინციპების დარღვევას მოსდევს პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოწყვეტა მასებისაგან და სახელმწიფოში მუშათა კლასის წამყვანი როლის შესუსტება. ამას ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ამასწინანდელი ამბები უნგრეთში. მუშათა კლასის დიქტატურის ოდნავ შესუსტებას სოციალიზმისადმი მტრული ძალები, რომლებსაც საერთაშორისო რეაქცია აქეზებს, იყენებენ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს გაფრთხილებაა ყველასათვის, ვინც, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, ფიქრობს აშენოს სოციალიზმი ისე, რომ სახელმწიფოში ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს არ ეკუთვნოდეს.

ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით რევოლუციური მასების შემოქმედებით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს დიდი გარდამქმნელი ძალა ის არის, რომ იგი განასახიერებს ხალხის ნამდვილ ძალაუფლებას, სოციალისტურ დემოკრატიას, ემყარება მასების ინიციატივასა და თვითმოქმედებას ახალი საზოგადოების მშენებლობაში. თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე საბჭოთა წყობილებამ განვლო მკაცრი განსაცდელი, იგი შემოწმდა სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის ცეცხლში და ცხადყო თავისი უდავო უპირატესობანი კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრების ასპარეზზე.

აშინებთ რა სოციალიზმის მზარდი მიმზიდველი ძალა, იმპერიალიზმის იდეოლოგები ყოველი საშუალებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს სახელმწიფოებრივ წყობილებას და ქებადიდებას ასხამენ ბურჟუაზიული დემოკრატიის „მშვენიერებას". ამ ბოლო დროს მათ კვლავ გამოათრიეს დღის სინათლეზე ძველი, მარქსიზმის მიერ დიდი ხნის წინათ მხილებული მონაჭორი იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა თითქოს გამორიცხავს დემოკრატიას. ლენინმა ცხადყო, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს „დემოკრატია საერთოდ", „თავისუფლება საერთოდ", არამედ არის ბურჟუაზიული დემოკრატია და პროლეტარული დემოკრატია. იმ ქვეყნებში, სადაც წარმოების ძირითადი საშუალებანი და სახელმწიფო ძალაუფლება კაპიტალისტთა ხელშია, დემოკრატია და თავისუფლება მუდამ იყო და დღესაც არის სამოთხე ექსპლოატატორთათვის და მოტყუება ექსპლოატირებულთათვის.

კაპიტალისტური წყობილების დამცველები დემოკრატიას ჩვეულებრივ ამოწურავენ რამდენიმე ფორმალური ნიშნით — ბევრია თუ არა ქვეყანაში პარტია, არის თუ არა პარლამენტში ოპოზიცია და სხვ. დემოკრატიის მთავარ ნიშანს კი — შეესაბამება თუ არა მთავრობის პოლიტიკა ხალხის მასების ინტერესებს — ისინი ამჯობინებენ არ შეეხონ. გასაგებია, თუ რატომ აკეთებენ ისინი ამას. თუმცა ბურჟუაზიულ ქვეყანაში შეიძლება იყოს საყოველთაო არჩევნები, მრავალპარტიულობა, პარლამენტის ოპოზიცია, მაგრამ ძირითადში, მთავარში პოლიტიკა განისაზღვრება არა ხალხის უმრავლესობის ინტერესებით, არამედ მილიარდერთა და მილიონერთა უმნიშვნელო ჯგუფის ინტერესებით, რომლებიც სახელმწიფო აპარატს საკუთარი გამდიდრებისათვის იყენებენ. მაგალითად, განა ომი ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა გააჩაღეს, შეესაბამებოდა ფრანგი ხალხის ან ინგლისელი ხალხის ინტერესებს? განა დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და ევროპაში აგრესიის საშიში კერის შექმნა შეესაბამება იმავე საფრანგეთის ან ინგლისის ხალხთა მისწრაფებებს? არა, ომის გაჩაღებისა და გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის მთელი ეს პოლიტიკა ძირეულად ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. მაგრამ ბურჟუაზიული დემოკრატიის პირობებში ხალხის მასებს, სამწუხაროდ, არ შეუძლიათ ჯეროვნად გამოთქვან თავიანთი ნება სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით.

მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურა თავისუფლებას აძლევს რეაქციულ პოლიტიკურ პარტიებს და ყოველნაირად ზღუდავს და თრგუნავს მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის შესაძლებლობებს, ავიწროებს და სდევნის კომუნისტურ პარტიებსა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მშრომელთა ინტერესებს გამოხატავენ. ეს თვალნათლივ გვიჩვენებს ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივ არსს.

ჩვენი საუკუნის ისტორიული გამოცდილება უცილობლად ადასტურებს, რომ მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ძალაუფლება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ხელში, ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია აძლევს ხალხის მასებს ნამდვილ თავისუფლებას, დემოკრატიასა და სამოქალაქო უფლებებს, თავისუფლებას უმუშევრობისა და სიღატაკისაგან.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიულობის გამოხატულებაა ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში, ქვეყნის, მისი მეურნეობის მართვაში მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ფართოდ, მასობრივად ჩაბმა. სოციალისტური დემოკრატიის სახალხო ხასიათი მკაფიოდ იჩენს თავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დროს. ავიღოთ, მაგალითად, დეპუტატთა შემადგენლობა, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების ამასწინანდელ არჩევნებში აირჩიეს. ყველა რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში 1.549.587 დეპუტატი აირჩიეს. ყველა ისინი არიან თავიანთი ხალხის შვილები — მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. დეპუტატთა შორის 37 პროცენტი ქალებია. არც ერთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში დაშვებული არ არის და მისი კლასობრივი ბუნების გამო არც შეიძლება იყოს დაშვებული მშრომელთა ასეთი მასობრივი მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

მასების ნდობა სოციალისტური სახელმწიფოსადმი და ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ეყრდნობა მასებს, ქმნის საბჭოთა დემოკრატიის ფართო სოციალურ საფუძველს და ურყევ სიმტკიცეს. სწორედ ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება ქმნის იმის შესაძლებლობებს, რომ ხალხის მასებმა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეები, გააკრიტიკონ ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებიც წარმოიშობა ახალი საზოგადოების მშენებლობის მსვლელობაში.

ამჟამად მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის მართვის ფორმების შემდგომი სრულყოფის საკითხების — საბჭოთა საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხების აშკარა, თავისუფალი, საყოველთაო-სახალხო განხილვა. განა ეს ჩვენი სოციალისტური წყობილების ნამდვილი დემოკრატიული ბუნების გამოხატულება არ არის! დაე გაბედოს რომელიმე ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ, რომელიც თავისი დემოკრატიზმით ტრაბახობს, მოაწყოს რაიმე ამის მსგავსი თავის ქვეყანაში, და ჩვენ ვნახავთ, რა გამოუვათ აქედან!

სოციალისტური მშენებლობის ყველა მობრუნების ეტაპზე ჩვენი პარტია მიმართავდა ხალხს, ეთათბირებოდა მას, და ამიტომ მისი გადაწყვეტილებანი მუდამ პოულობდნენ საბჭოთა ადამიანების სრულ გაგებასა და მხარდაჭერას, რადგან გამოხატავდნენ მათს ძირეულ ინტერესებს. ასეა ახლაც, როცა, ემყარებოდა რა სოციალისტური საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებით ნაკარნახევ მოთხოვნილებებს, პარტიამ შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნის პროგრამა და კვლავ მიმართა ხალხს. ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა გვიჩვენებს, რომ გარდაქმნის პროექტს მხურვალედ იწონებენ ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რომ სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს საბჭოთა ადამიანები იღებენ როგორც თავიანთ მახლობელ, ღვიძლ საქმეს. წინადადებანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, მოწმობენ, რომ ცენტრალური კომიტეტის თეზისები გაგებასა და მხარდაჭერას პოულობენ, რომ მათ ყოველმხრივ და გულდასმით განიხილავს ჩვენი სამშობლოს მთელი მოსახლეობა.

ეჭვი არ არის, ამხანაგებო, რომ მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის ხალხის მიერ მოწონებული პროგრამის განხორციელება, მასების აქტიური მონაწილეობა ამ დიდ საქმეში ქმნის სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობის, ყველა მშრომელის კეთილდღეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს.

შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესება თავიდან ბოლომდე, ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთა და მართვის მიახლოება უშუალოდ წარმოებასთან კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ლენინმა გვიანდერძა განვამტკიცოთ და განვავითაროთ სოციალისტური დემოკრატია, გავაუმჯობესოთ სახელმწიფო და პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები, თანმიმდევრულად განვახორციელოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რადგან ეს კომუნიზმისაკენ წარმატებით წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ჩვენი პარტია ლენინის ამ ანდერძის ერთგულია!

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების საწინდარია ჩვენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი საქმიანობა, მასებთან მისი კავშირის განმტკიცება. სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობა ადასტურებს, თუ რამდენ სწორია ლენინის იდეები მუშათა კლასის მარქსისტული პარტიის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში წარმმართველი ძალის შესახებ. სოციალისტურ სახელმწიფოში პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფის თუ დაკნინების ცდები სხვა არა არის რა, თუ არა ლენინიზმის მიერ დაგმობილი ძველ ანარქო-სინდიკალისტურ მტკიცებათა აღორძინება. „რომ მართავდე, — ამბობდა ლენინი, — უნდა გყავდეს გამოწრთობილი რევოლუციონერ-კომუნისტების არმია, ასეთი არმია არის, მას პარტია ეწოდება. მთელი სინდიკალისტური აბდაუბდა, მწარმოებელთა სავალდებულო კანდიდატურები — ყოველივე ეს უმაქნისი ქაღალდისათვის განკუთვნილ კალათში უნდა გადავყაროთ. თუ ამ გზას დავადგებით, ეს სინამდვილეში ნიშნავს იმას, რომ პარტია განზე ვიყოლიოთ, ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად... პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს". (თხზ., ტომი 32, გვ. 58).

ზოგჯერ გვესმის ზოგიერთი კრიტიკოსისაგან მსჯელობა იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტია ძალიან ბევრ ყურადღებას უთმობს სამეურნეო საკითხებს. კომუნისტური პარტია მმართველი პარტიაა, და მას არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს მეურნეობის საკითხებს, იმას, რაც საბჭოთა წყობილების მატერიალურ საფუძველს შეადგენს. სამეურნეო მშენებლობის საკითხებს კომუნისტებისათვის სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმიტომ, რომ თუ არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ბაზაზე მოწყობილი მსხვილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თუ არ არის საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონე, ისე შეუძლებელია შევქმნათ პროდუქტების სიუხვე და სრულად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი, შეუძლებელია ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება.

ლენინი ოცნებობდა ეხილა ჩვენი ქვეყანა მდიდარი და მძლავრი, ელექტროსადგურების ქსელით დაფარული, რომელსაც ექნებოდა განვითარებული მრეწველობა და პირველხარისხოვანი ტექნიკა, მეცნიერულად დაყენებული სოციალისტური მიწათმოქმედება.

„... შორს აღარაა ის ბედნიერი დრო, — წერდა ლენინი, — როცა ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის მშრომელი მასები... დაამყარებენ საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა, აგრეთვე ყველა მშრომელის კულტურა და კეთილდღეობა". (თხზ., ტომი 27, გვ. 191).

სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობა ლენინს მოუხდა საბჭოთა ხელისუფლების მხოლოდ პირველ წლებში. მაგრამ თავისი გენიალური გონებით მან შეძლო მრავალი ათეული წლით წინასწარ განეჭვრიტა ჩვენი ქვეყნის გზა კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა უმაგალითოდ მოკლე ისტორიულ ვადაში წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოახდინა კულტურული რევოლუცია და ამით გადაჭრა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი ამოცანები. ამ გამარჯვებებს ჩვენმა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. მიუხედავად შეცდომებისა, რომლებიც ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაში იყო და რომელთა შესახებ ჯერ კიდევ თავის დროზე იძლეოდა გაფრთხილებას ვ. ი. ლენინი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური ხაზის დაცვასა და გატარებაში უეჭველად თვალსაჩინო როლი ეკუთვნის სტალინს. ბოლშევიკურმა პარტიამ იდეურ ბრძოლაში გაანადგურა ლენინიზმის მტრები — ტროცკისტები, მემარჯვენე ოპორტუნისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მიაღწია მთელი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, განამტკიცა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.

ჩვენი თაობა ლენინის წინასწარდასახულობებს ხედავს უკვე მნიშვნელოვანწილად განხორციელებულს. წარსულში გაჩანაგებულმა, ჩამორჩენილმა ქვეყანამ ისტორიულად მოკლე ვადებში ააშენა სოციალიზმი, გახდა მოწინავე ტექნიკის, მეცნიერების ქვეყანა და სამრეწველო წარმოების დონის მხრივ ამჟამად მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში. საბჭოთა ადამიანებს ამასთან მოუხდათ უდიდესი სიძნელეების გადალახვა, ზოგიერთი დროებითი გაჭირვების გადატანა და მსხვერპლის გაღება. მაგრამ ყოველივე ეს ჭარბად ნაზღაურდება და ანაზღაურდება. სსრ კავშირის მრეწველობა 1957 წლისათვის რევოლუციამდელ დროსთან შედარებით გაიზარდა 30-ჯერ და მეტად, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება — 67-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა თითქმის 100-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება — 180-ჯერ. ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის საფუძვლის — სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა საბჭოთა ხალხის დიდი საგმირო საქმეა. (ტაში).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომელმაც მძიმე ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა კავშირმა სწრაფად აღადგინა სახალხო მეურნეობა, თითქმის ოთხჯერ გაადიდა სამრეწველო წარმოება 1940 წელთან შედარებით. ახლა ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კაპიტალიზმთან მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების პირობებში ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადავჭრათ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კაპიტალიზმის ყველაზე თავგამოდებული დამცველნი იძულებული არიან აღიარონ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპები და წარმატებები. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე დინ აჩესონი ამას წინათ წერდა: „სავსებით შესაძლებელია, რომ XX საუკუნე დარჩეს მეხსიერებაში, როგორც პერიოდი, როდესაც რუსეთისა და ჩინეთის სამრეწველო ძლიერება ჯერ დაეწია, ხოლო შემდეგ გაუსწრო საწარმოო ძლიერების მხრივ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას. თუ ეს მოხდა, შეიცვლება დედამიწის მთელი ისტორია... რუსეთის ინდუსტრიალიზაცია ვითარდება ისეთი ტემპებით, როგორიც, ალბათ, არ ახსოვს არავითარ საზოგადოებას. მისი აბსოლუტური მიღწევები საგულისხმოა, ახლა კი მას მიჰყვება ჩინეთი... დამაჯერებელი ვარაუდი გვიჩვენებს, რომ 20 წლიწადში პროდუქციის გამოშვება საბჭოთა კავშირში გადააჭარბებს შეერთებული შტატების დონეს და რომ 20 წლიწადზე ნაკლებ დროში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საწარმოო სიმძლავრე გადააჭარბებს დასავლეთის საწარმოო სიმძლავრეს".

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ინდუსტრიული ძლიერების განუწყვეტელი ზრდა სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებში.

საბჭოთა ხალხმა სერიოზული წარმატებები მოიპოვა აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ აუღია იმდენი პური, რამდენიც აიღო შარშან. და ეს ბედნიერი შემთხვევითობა როდია. ეს არის შედეგი პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობისა, ხალხის დაძაბული შრომითი ღონისძიებებისა სოფლის მეურნეობის არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის. უხვი მოსავალი უნდა იყოს და იქნება წესი ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის შექმნილია და იქმნება საჭირო პირობები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოუწოდეს სოფლის მეურნეობის მუშაკებს 1957 წელი გახადონ გარდატეხის წელი მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში. ოლქებისა და მხარეების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ამასწინანდელმა თათბირებმა ცხადყო, რომ სოფლის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის ამ მოწოდებას. საქმე ახლა ის არის, რომ ავამაღლოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის დონე, უნარიანად დავრაზმოთ მასები მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, მეცხოველეობაში საქმის მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

სოციალიზმის პირობებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას აქვს ძირითადი მიზანი: ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. კომუნისტური საზოგადოება, გვასწავლიდა ლენინი, შენდება „საზოგადოების **ყველა** წევრის **სრული** კეთილდღეობისა და თავისუფალი **ყოველმხრივი** განვითარების უზრუნველსაყოფად". (თხზ., ტომი 6, გვ. 51).

რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის ყველა საჭიროება და მოთხოვნილება. მაგრამ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ დღეს ჩვენი ხალხი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე წარსულში, ხოლო ხვალ იგი განუზომლად უკეთ იცხოვრებს, ვიდრე დღეს. (ტაში).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ხალხის მასების ცხოვრების დონე, სამუდამოდ მოსპობილია უმუშევრობა და სიღატაკე, წლითიწლობით იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, დიდდება კოლმეურნეთა შემოსავალი, მოქმედებს უფასო სწავლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვადასხვა სახეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების ფართო სახელმწიფოებრივი სისტემა.

ახლა, როცა ჩვენ მივაღწიეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალ სერიოზულ ზრდას, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ შემდგომში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება კიდევ უფრო სწრაფად მოხდება. (ტაში).

ამჟამად პარტიამ და მთავრობამ მკვეთრად მოაბრუნეს ჩვენი ორგანიზაციების ყურადღება საბინაო პრობლემის გადაჭრისაკენ, რომელიც განსაკუთრებით მწვავე გახდა ომის დროინდელი ნგრევის შედეგად. მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში მარტო სახელმწიფოს ხარჯით ან მისი დახმარებით განზრახულია აშენდეს დაახლოებით 300 მილიონი კვადრატული მეტრი ბინები. მარტო 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 46 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი. თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ ამ ციფრების მნიშვნელობა, გავახსენებთ, რომ მოსკოვის მთელი რევოლუციამდელი საცხოვრებელი ფონდი შეადგენდა 11 მილიონ 800 ათას კვადრატულ მეტრს. მაშასადამე, მარტო ერთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელ ფონდს შეემატება დაახლოებით ოთხი ისეთი დიდი ქალაქის ბინების ფართობი, როგორიც იყო რევოლუციამდელი მოსკოვი. (ტაში).

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების ჩვენს საუკუნეში, ატომის ენერგიისა და ავტომატიზაციის საუკუნეში უნდა გვყავდეს ცოდნის ყველა დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა განუწყვეტლივ მზარდი არმია, რათა ვიდგეთ თანამედროვე ტექნიკური პროგრესის დონეზე და მოვიგოთ შეჯიბრება კაპიტალიზმთან. რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით ჩვენში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი 30-ჯერ გაიზარდა და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვალიფიციური კადრების მომზადების გაქანებით ჩვენს ქვეყანას ბადალი არა ჰყავს.

ჯეროვნად აფასებს რა წარმატებებს, პარტია თვალს როდი არიდებს ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაშია. პარტია პირდაპირ და აშკარად ელაპარაკება ხალხს ყველა ნაკლის შესახებ. ჩვენ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# ლენინური გზით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

## ამხ. ე. ა. ფურცევას მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

(გაგრძელება)

ქვეყანას უხდება პირველმა გაკაფოს გზა კომუნიზმისაკენ და ამ დიდ საქმეში არ შეიძლება არ იყოს შეცდომები და სიძნელეები. ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებები, მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე ყველაფერი, რაც საჭიროა მათ აღმოსაფხვრელად, ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად. ყველაფერი დამოკიდებულია თვით ჩვენზე, ჩვენს ორგანიზებულობაზე, ჩვენს ღონისძიებებსა და შრომაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა შეაჯამეს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი სოციალისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად. მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის შესრულების შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფი ტემპებით ავითარებს სახალხო მეურნეობას.

საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს თავის მომავალს. სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო ერთიანობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იგი მტკიცე ნაბიჯით მიდის ლენინური გზით, ერთადერთი სწორი გზით, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

## 2. ლენინიზმი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიაა

ამხანაგებო! აღვნიშნავთ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავს, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების დიდი მედროშის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შემქმნელისა და სულისჩამდგმელის დამსახურება. თანამედროვეობის გამოცდილების მიხედვით ჩვენი დიდი ბელადის მოძღვრებისა და მოღვაწეობის ამ მხარეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ლენინმა, ისე როგორც სხვამ ვერავინ ღრმად გაიგო და გამოხატა იმპერიალიზმის ეპოქის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ის, რომ საჭიროა საერთაშორისო პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა, მასების აღზრდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. მან ცხადყო, რომ კაპიტალის გადაქცევა საერთაშორისო ძალად, მონოპოლისტთა მსოფლიო კავშირების შექმნა აფართოებს კლასობრივი ბრძოლის ეროვნულ ჩარჩოებს, აქცევს მთელ მსოფლიოს იმპერიალისტთა გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ გაერთიანებული საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ასპარეზად. „კაპიტალი საერთაშორისო ძალაა, — ამბობდა ლენინი. — მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა“. (თხზ., ტომი 30, გვ. 347).

ლენინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი ნიმუშია. ბევრი ძალა და ენერგია მოახმარა მან იმას, რომ გაეერთიანებინა ყველა ქვეყნის რევოლუციური პროლეტარული ელემენტები მშრომელთა ძირეული ინტერესებისა და უფლებებისათვის ერთობლივ საბრძოლველად. მან ჩვენს პარტიას ჩაუნერგა საერთაშორისო სოლიდარობის ის დაუცხრომელი სული, რომელიც მუდამ განასხვავებდა რუს ბოლშევიკებს.

ლენინი იყო ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი მეგობარი. მისთვის მახლობელი და ძვირფასი იყვნენ ყველა ერის პროლეტარები, გასაგები იყო მათი საჭიროებები და მისწრაფებები. ცნობილი ფრანგი კომუნისტი ვაიან კუტიურიე ვლადიმერ ილიას-ძის შესახებ წერდა: „ადამიანმა, რომელმაც შეარყია მთელი მსოფლიო, ვის შეგნებაშიც განუწყვეტლივ ხდებოდა ყოველივე იმის გადამუშავება, რითაც ცხოვრობდა და სუნთქავდა ეს მსოფლიო, ამ ადამიანმა შეგნებული სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა საოცარი უნარი ეგრძნო და ეაზროვნა როგორც ჩინელ კულის, როგორც ტვირთის მზიდავ ზანგს. ჩაგრული ანამიტი, ინდოელი მისთვის ისევე გასაგები იყო, ისეთივე გადაშლილი წიგნი იყო, როგორც ლენინგრადელი მელითონე, როგორც პარიზელი ფეიქარი, როგორც მეშახტე ახალი ვირგინიიდან. ლენინი ჩვენთვის იყო მომავლის სიმბოლო“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ, რომელიც ჩვენი პარტიის მსოფლმხედველობის ორგანული ნაწილი გახდა, საშუალება მისცა მას ისტორიის ყველა მკვეთრი მობრუნებისას დაიკავოს ერთადერთი სწორი პოზიცია, რომელიც შეესაბამება მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებს. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის წლებში, როდესაც II ინტერნაციონალის პარტიების ღალატის ვითარებაში, რომლებიც სოციალ-შოვინიზმამდე დაეშვნენ, რუსეთის ბოლშევიკები რჩებოდნენ ერთადერთ პარტიად, რომელმაც შეინარჩუნა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშისადმი ერთგულება. ასე იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდხანს იყო სოციალიზმის ერთადერთი კუნძული კაპიტალისტურ გარემოცვაში, მუშათა საერთაშორისო მოძრაობას უწევდა მთელ დახმარებას, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული.

ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპები განხორციელდა მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში. ლენინმა დაარწია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აკვანი. საბჭოთა სახელმწიფოებრივ წყობილებას მან საფუძვლად დაუდო მანამდე ისტორიაში უცნობი სავსებით ახალი პრინციპი — სოციალიზმის ერთობლივად მშენებლობისათვის გაერთიანებულ ერთა ნებაყოფლობითი კავშირის პრინციპი. წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აცხადებს ერების თანასწორუფლებიანობას, ლენინმა სიმძიმის ცენტრი გადაიტანა ერების ნამდვილი თანასწორობის უზრუნველყოფაზე უფრო განვითარებული რესპუბლიკების მიერ წარსულში ჩამორჩენილი ხალხებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის გზით.

ახლა, როდესაც ვაჯამებთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს 40 წლის განვითარების შედეგებს, განსაკუთრებული სიხარულით აღვნიშნავთ, რომ შევასრულეთ ლენინის ეს ანდერძი. ჩვენი ქვეყნის ხალხებს წარსულში ოცნებაც არ შეეძლოთ იმაზე, რომ, მაგალითად, ტაჯიკეთი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას 1913 წელთან შედარებით გაადიდებდა 27-ჯერ, საქართველო — 30-ჯერ, ყაზახეთი 36-ჯერ, ყირგიზეთი — 42-ჯერ, სომხეთი — 45-ჯერ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მოკავშირე რესპუბლიკები გადაიქცნენ განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოებად, სადაც იფურჩქნება ეროვნული კულტურა, ჩამოყალიბდნენ ინჟინერთა, ეკონომისტთა, სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრები. სწორედ ამიტომ ახლა ჩვენი სახელმწიფო მიდის მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოების გზით. ეს ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების ახალი საფეხურია, რომელიც მოასწავებს მათი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განუხრელ აღმავლობას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპები, შემოწმებული საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს გამოცდილებით, საფუძვლად დაედო დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობას, რომლებიც სოციალიზმის დიად ბანაკს შეადგენენ.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე. „ჩვენ გვსურს, — ამბობდა ლენინი, — ერების **ნებაყოფლობითი** კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე“. (თხზ., ტომი 30, გვ. 348).

წინააღმდეგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კავშირებისა, რომლებიც წარმოადგენენ, როგორც წესი, იმ ერთი დიდი სახელმწიფოს იძულების, მალადობის შედეგს, რომელიც ისწრაფვის განამტკიცოს თავისი მსოფლიო ბატონობა და დაიმორჩილოს ყველა სხვა სახელმწიფო, სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობა არის მათი ამოცანების ერთობის გამოხატულება, ხალხების მიერ თავიანთი ძირეული სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების ღრმად შეგნების შედეგი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი თანამეგობრობა ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე იმპერიალისტების რომელიმე კავშირი, რომელსაც ღრღნიან გადაუჭრელი შინაგანი წინააღმდეგობანი.

მშრომელთა საერთაშორისო ერთიანობა და დარაზმვა რევოლუციური პროლეტარული პარტიების საქმიანობის უმაღლესი პრინციპია. პროლეტარიატი „...აღიარებს თანასწორუფლებიანობას და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თანასწორ უფლებას“, — წერდა ლენინი, — და „ყველაზე მეტად აფასებს და მაღლა აყენებს ყველა ერის პროლეტარების კავშირს...“ (თხზ., ტომი 20, გვ. 502-503).

ლენინიზმის ყველა ეს დებულება იმიტომ უნდა გავიხსენოთ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, თითქოს სოციალისტურ სახელმწიფოთა დარაზმვა ერთიან ბანაკად სულაც არ არის სავალდებულო, თითქოს თვითეულ ქვეყანას შეუძლია მარტო აშენებდეს სოციალიზმს, სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან მოწყვეტით, ხოლო მათ შორის ურთიერთობა შეიძლება შემოიფარგლოს თანაარსებობის პრინციპებით. ზოგიერთი პუბლიცისტი ამ შეხედულებათა დასაბუთებას ცდილობს სხვადასხვა ქვეყანაში სოციალიზმის განვითარების ფორმების თავისებურების დამოწმებით. მაგრამ თავისებურების დამოწმება აქ საქმეს ვერ შველის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაადასტურა და განავითარა ლენინის ცნობილი თეზისი სხვადასხვა ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების თავისებურების შესახებ. აგრეთვე ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის XX ყრილობის ამ დასკვნამ ძლიერი ბიძგი მისცა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ყველა პარტიაში გაძლიერდა სოციალიზმის პრობლემების ისეთი გადაჭრის ძიება, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თვითეული ქვეყნის ისტორიულად შექმნილ პირობებს. ასეთი ძიება, რომელიც შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს სულისკვეთებას, უეჭველია, მომავალშიც გაგრძელდება. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას წარმატება ექნება მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების გრანიტის საფუძველზე, პრინციპებისა, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის, რევიზიონიზმის ყველა ნაირსახეობის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის საფუძველზე.

გასაგებია, რომ საერთაშორისო რეაქციამ ხალისით გააზვიადა იდეები ეგრეთწოდებული „ეროვნული კომუნიზმის“ შესახებ, რომლებსაც პროპაგანდას უწევს ზოგიერთი თეორეტიკოსი, რომლებიც თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებენ. „ეროვნული კომუნიზმი“ არის ერთი ქვეყნის არასწორად გაგებული ეროვნული ინტერესების დაპირისპირება ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთო, სოციალისტური ინტერესებისადმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ნაციონალიზმის ძველი იდეოლოგიის უახლესი ნაირსახეობა, რომელიც ასახავს წვრილბურჟუაზიული ელემენტების ზეგავლენას, რომლებიც დაავადებული არიან ნაციონალისტური ცრურწმენით. ასეთი იდეოლოგიის გავრცელება გამოიწვევდა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა გათიშვას, სოციალისტური ბანაკის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრას.

„ეროვნული კომუნიზმის“ მომხრეები ფიქრობენ, რომ ისინი პატრიოტები არიან და უკეთ ემსახურებიან თავიანთი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, როცა ემიჯნებიან სოციალისტურ ბანაკს. მაგრამ ეს არის ეროვნული ინტერესების დამახინჯებული გაგება. არასგზით არ შეიძლება ამას ეწოდოს პატრიოტიზმი, რადგან სოციალისტური პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო არიან თავიანთი არსით. სოციალისტური ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი თავისი სამშობლოს ინტერესებს არ აშორებს სხვა სოციალისტური ქვეყნების ინტერესებს. მან იცის, რომ მისი ერის ნამდვილი აყვავება, მისი დიდება და სიმდიდრე, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის გზით, ხოლო სოციალიზმის მშენებლობა ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთო ინტერნაციონალური საქმეა. **(ტაში).**

სოციალიზმის გამოსვლით ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან და მისი გადაქცევით მსოფლიო სისტემად სოციალისტური პატრიოტიზმი უფრო მეტად ერწყმის ინტერნაციონალიზმს. სიყვარული თავისი სოციალისტური ქვეყნისადმი ორგანულად შეიცავს მთელი სოციალისტური სამყაროსადმი, მისი ხალხებისა და ქვეყნებისადმი, ძმური სიყვარულის გრძნობას. ამასთან ერთად ეს არათუ არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, აუცილებლად გულისხმობს დიდ სიმპათიასა და მხურვალე სიყვარულს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის და კოლონიის მშრომელებისადმი, რომლებიც იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის, ახალი ცხოვრებისათვის. თვითეული სოციალისტური ქვეყნის მშრომელები ამაყობენ არა მარტო თავიანთი წარმატებებით, არამედ აგრეთვე მთელი სოციალისტური ბანაკის, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებებით. საერთაშორისო სოლიდარობის განუწყვეტელი კავშირი გვაერთებს სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან, და ეს სწორია. ეს შეესაბამება იმას, თუ როგორ ესმოდა ლენინს სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლების უკანასკნელ ხანს გამართულმა შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ სოციალისტური ბანაკის ხალხთა ერთიანობა, თანამეგობრობა განუხრელად მტკიცდება და ვითარდება. **(ტაში).**

ლენინური პრინციპებით მტკიცედ დარაზმული სოციალისტური ბანაკის ხალხები, რომლებსაც მეთაურობენ მათი ნაცადი ხელმძღვანელები — კომუნისტური და მუშათა პარტიები, მტკიცედ მიდიან სოციალიზმის გზით, აღწევენ სულ ახალ და ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობაში, მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. მსოფლიო სოციალისტური სისტემის სიმტკიცისა და ძლიერების განუხრელი ზრდა გარდუვალი პროცესია, რომლის შეჩერება არ ძალუძს კაპიტალიზმის ძველ, დრომოჭმულ სამყაროს. **(ტაში).**

ჩაიფუშა რეაქციის ცდები გაეთიშა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს მეგობრებს დასავლეთში უკანასკნელ ხანს ცოტა მძიმე წუთების გადატანა როდი მოუხდათ, როცა ფაშისტურ ძალებს გაფთრებული იერიშები მიჰქონდათ კომუნისტური გაზეთების რედაქციებზე, პარტიული ცენტრების შენობებზე, სდევნიდნენ და ცილს სწამებდნენ კომუნისტებს. მაგრამ რეაქციონერებმა ამით ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზნებს. უნდა ითქვას, რომ ურწმუნო და კაპიტულანტი ცოტა აღმოჩნდა კომპარტიების რიგებში. სამაგიეროდ კომუნისტთა უმრავლესობა უფრო გამოიწრთო, უფრო ირწმუნა თავისი იდეალები და თავისი ძალები, უფრო მტკიცედ დარაზმა თავისი რიგები. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის რევოლუციურ პარტიებში. **(ტაში).**

ახლა ყველასათვის, — მეგობრებისთვისაც და მტრებისთვისაც, — განსაკუთრებით ცხადი გახდა: მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შემუსროს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. კომუნიზმის დიადი იდეები, მარქს-ლენინის იდეები ღრმად შევიდა ათობით და ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში, შეაღწია ხალხის მასებში, მიაღწია თანამედროვე ადამიანთა საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენებამდე. შეგნებული აქვთ რა თავიანთი დიადი საქმის სიმართლე, გამოხატავენ რა ხალხთა უძლეველ მისწრაფებას მშვიდობისადმი, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისადმი, კომუნისტური და მუშათა პარტიები მოიპოვებენ ახალ წარმატებებს თავიანთ ძნელ, მაგრამ სასახელო ბრძოლაში ხალხთა ბედნიერებისათვის. **(ტაში).**

## 3. ლენინიზმი ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშაა

ამხანაგებო! ლენინმა კაცობრიობას დაუსახა იმპერიალიზმის უღლისაგან, კოლონიური ჩაგვრისაგან, დამანგრეველი ომებისაგან ხალხთა განთავისუფლების გზა. ამ დიადი ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად, რაზედაც ოცნებობდნენ მთელი მსოფლიოს მშრომელნი, მან საჭიროდ მიიჩნია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება, მჭიდროდ დარაზმვა მთელი რევოლუციური და დემოკრატიული ძალებისა, რომლებიც იბრძვიან ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდან საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინური პრინციპებით თავის დამოკიდებულებაში სხვა ხალხებთან და სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით ცხოველმყოფელია ჩვენს დროს ლენინის მითითებანი ორი საზოგადოებრივი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეჯიბრების შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ.

ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს მტკიცედ სწამთ, რომ მშვიდობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების პირობებში სოციალიზმი უფრო სრულად და უფრო ძლიერ ამტკიცებს თავის დიად უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე. ჩვენ ვიყავით და კვლავ ვართ იმპერიალისტური აგრესიული ომების ყველაზე თანმიმდევარი და მტკიცე მოწინააღმდეგენი. ჩვენ მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს და გამარჯვებული გამოვიდეთ კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ჩვენ არავის არ ვახვევთ თავს ჩვენს წყობილებას და გვსურს მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ და სხვა ხალხებს იმპერიალისტები არ გვიშლიდნენ მშვიდობიანი მშენებლობის განხორციელებას. **(ტაში).**

კაპიტალისტური სამყაროს რეაქციულ ძალებს, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ შეჯიბრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა, რადგან მათ არა სწამთ იმის შესაძლებლობა, რომ გამარჯვებულნი გამოვლენ ასეთ შეჯიბრებაში.

მილიტარიზმისა და ომის გზით, გამალებული შეიარაღებისა და ახალი სამხედრო ავანტიურების მზადების გზით, რომლებიც ზღაპრულად ამდიდრებენ კაპიტალისტურ მონოპოლიებს, მაგრამ მხოლოდ გაჭირვება და უბედურება მოაქვთ ხალხებისათვის, ისინი ლამობენ შეაფერხონ ისტორიული განვითარების პროცესები.

მაგრამ თუ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა იყო, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომის გზამ არ მოუტანა იმპერიალისტებს არც დაფნის გვირგვინი, არც წარმატება, მით უფრო ნაკლები შანსები აქვთ ამისათვის მათ ამჟამად.

უარყოფენ რა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ებღაუჭებიან რა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის იმ სახელმწიფოების მმართველი წრეები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ ამერიკის ახლანდელ აგრესიულ პოლიტიკას, მოქმედებენ ხალხთა ინტერესების საწინააღმდეგოდ, მსოფლიოში შექმნილი ძალთა ნამდვილი თანაფარდობის საწინააღმდეგოდ.

ახლა, როდესაც სოციალიზმი გახდა მძლავრი მსოფლიო სისტემა, რომელიც აერთიანებს ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ევროპისა და აზიის ყველა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში მათი პარტნიორების აგრესიული პოლიტიკა განსაკუთრებით უგუნურად და ავანტიურისტულად გამოიყურება.

ვისთვის არ არის ახლა აშკარა, რომ იმპერიალისტური წრეების ყოველგვარი აგრესია სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ ცხადყოფდა მათს უკიდურეს ავანტიურიზმს, რამდენადაც სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას მოეპოვება ყველა თანამედროვე საშუალებანი აგრესორებისათვის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმის მისაყენებლად. **(ხანგრძლივი ტაში).** შეუძლებელია ეჭვი ვიქონიოთ, რომ აგრესიული ძალების ყოველგვარი ცდა — გააჩაღონ ახალი მსოფლიო სისხლისღვრა გამოიწვევდა სოციალისტური ბანაკის თავისუფალ ხალხთა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ისეთ საპასუხო წინააღმდეგობას, რომელსაც მოჰყვებოდა კაპიტალიზმის მთელი სისტემის კრახი. **(ტაში).**

აგრესიისა და ახალი ავანტიურების პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების გაბატონებული კლასები ახორციელებენ, არა მარტო მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს, არამედ უდიდეს საფრთხესაც უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ასეთი პოლიტიკა ვერ ჰპოვებს ხალხების მხარდაჭერას. განა შეუძლიათ, მაგალითად, დასავლეთ ევროპის ხალხებს, კერძოდ, ინგლისისა და საფრანგეთის ხალხებს, რომლებსაც უძველესი და მდიდარი კულტურა აქვთ, დაეთანხმონ იმას, რომ მათი ქვეყნები, ამერიკის მონოპოლიების სამებლად, გადაიქცნენ ატომური ომის ასპარეზად? განა შეუძლიათ ხალხებს მხარი დაუჭირონ ისეთ პოლიტიკას, რომელიც მათ აქცევს საზარბაზნე ხორცად ყოფილი ჰიტლერელი გენერლების ახალი რევანშისტული ავანტიურებისათვის?

ეჭვი არ არის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და სხვა ქვეყნებში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ბრძოლის ველად გადაქცევას უპირებენ, აღმოჩნდებიან ჯანსაღი ეროვნული ძალები, რომლებსაც შეგნებული აქვთ ასეთი პოლიტიკის მთელი დამღუპველობა და უნარი შესწევთ შეცვალონ იგი თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა გაიმარჯვებს საერთაშორისო საქმეებში. ჩვენ გვწამდა და კვლავ გვწამს, რომ ჩვენს დროში შეიძლება ხანგრძლივი ვადით უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო ვითარების ახლანდელი ერთგვარი გამწვავება დროებითი მოვლენაა. ხალხებს შეუძლიათ თავიანთი მტკიცე და აქტიური საქმიანობით საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება დააყენონ დაძაბულობის შენელების გზაზე, მშვიდობიანი თანამშრომლობის გზაზე. თუ ხალხები ფხიზელნი იქნებიან და თავს არ ჩაათრევინებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ ისინი კვლავაც იხელმძღვანელებენ მშვიდობის დაცვის მათთვის საერთო ინტერესებით, იმპერიალისტთა არავითარი ხრიკები და ფანდები საშიში არ არის პროგრესული ძალების მტკიცედ დარაზმული ბანაკისათვის. **(ტაში).**

რაც შეეხება საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ისინი თავიანთ საგარეო პოლიტიკაში კვლავაც აპირებენ დაიცვან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პრინციპები, რომლებიც შემოწმებულია ისტორიის გამოცდილებით. ეს პრინციპები შეესაბამება საბჭოთა ხალხის ღრმა სასიცოცხლო ინტერესებს და მთელი კაცობრიობის მშვიდობისმოყვარე ინტერესებს. „...ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — იწონებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა“. (თხზ., ტომი 30, გვ. 470).

სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების აგრესიული წრეები თავიანთი ვიწრო და ანგარებითი კლასობრივი ინტერესებისათვის განაგრძობენ საშიშ თამაშს, ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ მთელი დემოკრატიული ძალების, ყველა პატიოსანი ადამიანის მთავარი ამოცანაა.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ევროპისა და ამერიკის მუშათა კლასის დიდ მოკავშირეს წარმოადგენენ აღმოსავლეთის ხალხები. ლენინმა ცხადყო აღმოსავლეთის ხალხების, აზიისა და აფრიკის მრავალმილიონიანი ხალხის მასების ახალი თავისუფალი ცხოვრებისათვის გამოღვიძების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ვ. ი. ლენინი წინასწარ ხედავდა იმ დიადი ჟამის დადგომას, როცა აღმოსავლეთის ხალხები დაამსხვრევენ იმპერიალისტური კაბალის ბორკილებს და სხვა ქვეყნების მშრომელებთან მჭიდრო თანამეგობრობით დაადგებიან თავისუფალი განვითარების გზას.

დასავლეთის პროლეტარებისა და აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების ერთიანობის შექმნა ლენინს მიაჩნდა ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ნიშნად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ შემდეგი ეპიზოდი. 1920 წლის დამლევს მოსკოვში გამოვიდა ჟურნალი სახელწოდებით „აღმოსავლეთის ხალხები“, რომლის ყდაზე იყო ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!“. ზოგიერთმა ამხანაგმა ეჭვი გამოთქვა ამ ლოზუნგის სისწორეში. მაშინ, გამოვიდა რა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, ლენინმა თქვა: „რასაკვირველია, „კომუნისტური მანიფესტის“ თვალსაზრისით ეს სწორი არ არის, მაგრამ „კომუნისტური მანიფესტი“ იწერებოდა სულ სხვანაირ პირობებში, დღევანდელი პოლიტიკის თვალსაზრისით კი ეს სწორია...“ „ჩვენ ახლა მართლაც, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — გამოვდივართ არა მარტო ყველა ქვეყნის პროლეტართა წარმომადგენლებად, არამედ ჩაგრულ ხალხთა წარმომადგენლებადაც“. (თხზ., ტომი 31, გვ. 564-565).

ვ. ი. ლენინი უდიდესი სიხარულით მიესალმა აზიის ქვეყნების ხალხთა პოლიტიკური აქტივობის პირველ ყლორტებს. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იგი უდიდესი პატივისცემის გრძნობით წერდა დიდი ჩინელი ხალხის შესახებ, რომელმაც ის იყო დაიწყო თავისი მძლავრი ძალების გამოვლინება, რათა მოეცილებინა ფეოდალური და უცხოეთის იმპერიალისტური ექსპლოატაციის უღელი.

ყველგან, სადაც კი სწვდებოდა ლენინის თვალი, იგი ხედავდა ადამიანთა გიგანტური მასების უსაზღვრო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ შებოჭილ, ძალებს, რომლებიც ძალით ჰყავდათ მორჩილებაში ერთ მუჭა უცხოელ ექსპლოატატორებს.

ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმის საქმე საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს, სანამ კაცობრიობის ნახევარზე მეტი კოლონიალიზმის მხრივ ჩაგვრას განიცდის.

თავისი რევოლუციური მხურვალე გულის მთელი მგზნებარებით ლენინი იბრძოდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. მას სწამდა აღმოსავლეთის ხალხთა უშრეტი მძლავრი ძალები, მათი უნარი შეეტანათ ახალი დიდი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. „აღმოსავლეთის ხალხები — ამბობდა იგი, — იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ, რათა ყოველი ხალხი წყვეტდეს მთელი კაცობრიობის ბედის საკითხს“. (თხზ., ტომი 30, გვ. 177).

ლენინის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ასრულდა. დიდი ჩინელი ხალხი განთავისუფლდა თავისი მჩაგვრელებისაგან და თავისი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი გახდა. საბჭოთა კავშირის გვერდით ახლა დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ახალი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. **(ხანგრძლივი ტაში).** საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურღვევი მეგობრობა თავისუფალ ხალხთა ნამდვილი სოციალისტური ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუშია, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის მტკიცე დასაყრდენია.

მდგომარეობა შეიცვალა აგრეთვე აზიის მეორე დიდ ქვეყანაში — ინდოეთში. ნიჭიერმა ინდოელმა ხალხმა მოიშორა ინგლისის კოლონიალიზმის უღელი, ავითარებს თავის უდიდეს შინაგან ძალებს, დამოუკიდებლად აშენებს საკუთარ მომავალს, მტკიცედ დგას მშვიდობის დაცვის პოზიციებზე.

ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ინდონეზიამ, ბირმამ და აზიისა და აფრიკის ბევრმა სხვა ქვეყანამ. წარმატებით ვითარდებიან არაბთა ქვეყნების ეროვნული სახელმწიფოები.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა უსაზღვროდ გაიხარებდა ლენინი, მას რომ შეძლებოდა დაენახა დღეს მსოფლიოს შეცვლილი სურათი. მისი გენიალური წინასწარხედვა კოლონიალიზმის გარდუვალი კრახისა და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ხალხთა გამოსვლის შესახებ სავსებით დადასტურდა.

ამჟამად დადგა ის ეპოქა, როდესაც აზიისა და აფრიკის ხალხები, რომლებსაც იმპერიალიზმი ჩაგრავდა, გახდნენ

(დასასრული მე-4 გვ.)

# ლენინური გზით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ

## ამხ. ე. ა. ფურცევას მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 87 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

(დასასრული)

თანამედროვე მსოფლიო განვითარების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სამარცხვინო და სისხლიანი კოლონიური სისტემა ისპობა. ჩვენ გვწამს, რომ ის ხალხებიც, რომლებიც ჯერ კიდევ გმინავენ კოლონიალიზმის უღელქვეშ, თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდებიან. **(ტაში).**

იმპერიალისტური რეაქცია და კოლონიზატორები ამაოდ ცდილობენ შეაჩერონ ეს ისტორიული პროცესები, რომლებიც სახეს უცვლიან მსოფლიოს. ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ავაზაკური თავდასხმა ეგვიპტეზე იყო ერთ-ერთი ასეთი ცდა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვანახვა, თუ რა სიძულვილით ეკიდებიან მონოპოლისტები ხალხთა ბრძოლას თავიანთი უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამავე მიზანს ისახავს ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული პროგრამა ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების პრესამ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“ უწოდა. მაგრამ ყველა ეს განზრახვა განწირულია ჩასაფუშავად. ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს კოლონიალიზმს აზიაში.

კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობა შეუჩერებლად მიდის წინ, მისი ფრონტი სულ უფრო ფართო და მძლავრი ხდება, მასში ერთიანდებიან ყველა ეროვნებისა და რასის მილიონობით ადამიანები. სახალხო მოძრაობის ყველა ნაკადი ერთიანდება საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

* * *

ამხანაგებო! მუშათა კლასის მებრძოლი და გამოწრთობილი პოლიტიკური პარტია, შეიარაღებული მეცნიერული თეორიით, ლენინს მიაჩნდა იმის მთავარ გარანტიად, რომ კომუნიზმის მშენებლობის საქმე მიყვანილი იქნება სრულ გამარჯვებამდე. ტყუილად როდი მიმართავდნენ და მიმართავენ მუშათა კლასის მტრები, ყველა ჯურის ოპორტუნისტები თავიანთ დარტყმებს მარქსისტულ-ლენინური პარტიის წინააღმდეგ, მისი იდეოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების წინააღმდეგ.

პარტიის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. იგი ორგანულად ითვისებს ხალხის მასების გამოცდილებას, მათი ცხოვრების სიბრძნეს და ეყრდნობა მასებს კომუნისტური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში.

მთელ თავის სიცოცხლეში ლენინი დაუცხრომლად იბრძოდა პარტიის ერთიანობის განმტკიცებისათვის, მიაჩნდა რა იგი პარტიის მიერ თავისი როლის — მშრომელთა ბელადის როლის შესრულების მთავარ პირობად. საბჭოთა კომუნისტები მუდამ წმიდად იცავდნენ ლენინის ამ ანდერძს. თავიანთი ბრძოლის ყველა ეტაპზე ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ თავიანთი რიგების ერთიანობას და ამიტომ დღეს ჩვენი პარტია მძლავრი მონოლითური ძალაა, რომლისთვისაც არავითარი სიძნელე არ არის საშიში. **(ტაში).**

ათეულ წლობით გმირულ ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ, ხელმძღვანელობდა რა პარტიული ცხოვრებისა და საქმიანობის ლენინური პრინციპებით, აღზარდა მრავალრიცხოვანი კადრები მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის სულისკვეთებით.

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული ძალით აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელებას, ყველა პარტიული ორგანიზაციის, პარტიის ყველა წევრის აქტივობისა და თვითმოქმედების გაძლიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ მისი საქმიანობის მთელი აზრია გაამრავლოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დიდება და ძლიერება, რომ ჩვენი ხალხი ცხოვრობდეს უზრუნველყოფილი და საამური ცხოვრებით, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებთან ძმური ერთიანობით, ყველა ხალხთან მეგობრობით და მშვიდობით. პარტია ჩვენს ხალხს აიარაღებს მისი მსოფლიო-ისტორიული ბრძოლის მიზნების გაგებით, ამ მიზნების მიღწევის გზებისა და საშუალებების ცოდნით, ჩვენი დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენით. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანებს პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა მიაჩნიათ კომუნიზმის მშენებლობაში შემდგომ წარმატებათა წყაროდ. ხალხის სიყვარული და ერთგულება ჩვენს პარტიას ანიჭებს ახალ ძალებს, ყველა კომუნისტს აღაფრთოვანებს თავდადებული ბრძოლისათვის ხალხის საბედნიეროდ.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობა, მზარდი მუშათა მოძრაობა კაპიტალიზმის ქვეყნებში, ხალხთა განთავისუფლება კოლონიალიზმის უღლისაგან — მთელი ეს მსოფლიო-ისტორიული ამბები და პროცესები მკაფიოდ მოწმობენ ლენინიზმის გამარჯვებას.

ისტორიამ დაადასტურა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, კაცობრიობის ცხოვრების პირობების ძირეული რევოლუციური გარდაქმნის გზების გენიალური განჭვრეტა. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადმა ყოვლისშემძლე მოძღვრებამ ძლიერი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა და ახდენს კაცობრიობის ბედზე, ნათელ პერსპექტივებს უსახავს ყველა ქვეყნის მშრომელებს.

არაფერს არ შეუძლია შეაჩეროს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი მსვლელობა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთის, ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის თვითეული ახალი წარმატებით მტკიცდება და იზრდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა რწმენა, რომ მომავალი ეკუთვნის სოციალიზმს, რომ მხოლოდ სოციალიზმი იხსნის კაცობრიობას ყოველი ფორმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ადამიანები, პროგრესისა და მშვიდობის ყველა გულწრფელი მომხრე ამაყობენ იმით, რომ ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად, განუხრელად მიდის წინ კომუნიზმისაკენ, წარმოადგენს ჩაუქრობელ შუქურას ევროპის, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. **(ტაში).**

მშრომელთა შეგნებაში მარად იცოცხლებს სახე ლენინისა — დიდი რევოლუციონერისა და გენიალური ბელადისა, რომელმაც კაცობრიობას ნათელი მომავლის გზა უჩვენა. **(ტაში).**

დაე ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს დიდი ლენინის უკვდავი დროშა, კომუნიზმის დროშა! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდება ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

# გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილზე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა

როგორც უკვე ვიუწყებოდით პრესაში, ამა წლის თებერვალ-მარტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა კ. ადენაუერმა წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს.

16 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ჰაასი. ელჩმა გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის პასუხი ნ. ა. ბულგანინის ამა წლის 18 მარტის წერილზე (რედ. შენიშვნა: ნ. ა. ბულგანინის წერილი საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა 24 მარტს).

17 აპრილს ელჩმა ვ. ჰაასმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ა. ვ. ზახაროვს გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც აღძრულია ნ. ა. ბულგანინისა და კ. ადენაუერის მიწერ-მოწერაში.

ქვემოთ ქვეყნდება ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერის წერილისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ხსენებული ნოტის ტექსტები.

„მის აღმატებულებას
საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის
პრემიერ-მინისტრს
ბატონ ნ. ა. ბულგანინს
მოსკოვი

ბონი, 1957 წლის 13 აპრილი

დიდად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

დიდი ყურადღებით წავიკითხე თქვენი 18 მარტის წერილი, რომელიც 20 მარტს ბატონმა ელჩმა სმირნოვმა გადმომცა.

იმ საკითხებზე შემდგომი პროცედურის გამარტივებისათვის, რომლებზეც ჩვენი წერილების გაცვლის საფუძველზე შეიძლებოდა ახლა დაგვეწყო მოლაპარაკება, გერმანიის ელჩი მოსკოვში ნოტას გადასცემს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ გრომიკოს. ამიტომ აქ შემიძლია დავკმარდე პრინციპული ხასიათის მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას.

უნდა მოგახსენოთ, რომ გამაკვირვა იმან, რომ თქვენს მეორე წერილში სულ არ არის ნახსენები თქვენს ამა წლის 5 თებერვლის პირველ წერილში აღძრული საკითხი რეპატრიაციის შესახებ, თუმცა ჩემს პასუხში მთელი სერიოზულობით აღვნიშნე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემას ფედერალური მთავრობისა და გერმანელი ხალხის თვალში. გერმანია-საბჭოთა კავშირის დასახული მოლაპარაკების აზრად ჩვენ ერთსულოვნად მიგვაჩნდა ის, რომ მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ საკითხთა საერთო ფარგლებში, რომლებიც ახლა უნდა გადაიჭრას ჩვენს ორ ქვეყანას შორის, განხორციელდება შეთანხმება, რომელსაც მოსკოვში მივაღწიეთ 1955 წლის სექტემბერში რეპატრიაციის საკითხის შესახებ.

შემდეგ თქვენ უსაყვედურებთ ფედერალურ საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ფონ ბრენტანოს, რომ მის მიერ ამას წინათ გამოთქმული აზრები თითქოს არ შეესაბამებოდეს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებს. მე გადაჭრით უნდა უარვყო ეს კრიტიკა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ, რომელიც სარგებლობს ფედერალური მთავრობისა და პირადად ჩემი განუსაზღვრელი ნდობით. ბატონმა ფონ ბრენტანომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ გამოთქმული აზრებით მხოლოდ გამოხატა გრძნობები მთელი გერმანელი ხალხისა, რომელიც მთლიანად ღრმად არის იმედგაცრუებული საბჭოთა კავშირის პოზიციით გერმანიის ერთიანობის საკითხში. თუმცა მე არა მსურს აქ ვილაპარაკო იმ დაუსაბუთებელ მძიმე ბრალდებებზე, რომლებიც არაერთგზის წამოუყენებიათ და წინანდებურადვე აყენებენ ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ განცხადებებში, — ისეთ აზრებზე, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შეესაბამებოდეს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებს.

მთელი გერმანელი ხალხის მისწრაფება თავისი ეროვნული ერთიანობის აღდგენისადმი არ შეიძლება არარად იქცეს იმის მომიზეზებით, რომ ვითომდა არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო. არარეალისტურია რეალობა უწოდო გერმანელი ხალხის ცხოვრებაში ეგრეთწოდებულ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის სახელმწიფო ხელისუფლება არ ყოფილა შექმნილი კანონიერი გზით და რომელსაც უარყოფს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. მაგრამ არსებობს რეალობა, რომელსაც ფესვები გერმანიის ისტორიულ განვითარებაში აქვს: გერმანელი ხალხი ერთი ხალხია. იგი სხვას არაფერს მოითხოვს, გარდა თავისი ბუნებრივი უფლებისა — იცხოვროს ერთ სახელმწიფოში თვით მის მიერ თავისუფლად არჩეული წყობილების პირობებში, უფლებისა, რომელსაც მუდამ ცნობდნენ მოკავშირეებიც უკანასკნელ მსოფლიო ომში, მათ შორის საბჭოთა კავშირი.

დიდად პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, გულახდილად ვლაპარაკობ რა ამაზე, ვხელმძღვანელობ სერიოზული მისწრაფებით ვემსახურო მშვიდობისა და ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების საქმეს რეალური პირობების გულახდილი ჩამოყალიბების გზით. გადამწყვეტი პრობლემებისათვის თვალის არიდება მხოლოდ ჩვენი ერთობლივი ღონისძიებების საზიანო იქნებოდა. დაძაბულობა და დაშორება, რაც ჩვენს ორ ხალხს შორის წარმოიშვა, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას მხოლოდ იმ გზით, რომ აღმოიფხვრას მათი ნამდვილი მიზეზები.

გთხოვთ ამ აზრით მიიღოთ ის, რაც ზემოთ ვთქვი, და დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ გერმანელ ხალხს გულწრფელად სურს როგორც თავისუფალმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხებთანაც მშვიდობიან პირობებში იცხოვროს.

გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ერწმუნოთ ჩემს სრულ პატივისცემას.

**ადენაუერი“.**

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თავისი მთავრობის დავალებით პატივი აქვს აცნობოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი:

ფედერალური მთავრობა, იმოწმებს რა ფედერალურ კანცლერ დოქტორ კონრად ადენაუერსა და მის აღმატებულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნ. ა. ბულგანინს შორის წერილების გაცვლას, მზად არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან დაიწყოს მოლაპარაკება გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხების მოწესრიგებაზე. ამ მოლაპარაკების დროს მას სურს შეთანხმდეს ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო გაცვლის მომავალ განვითარებაზე და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანელი მოქალაქეების რეპატრიაციის განხორციელებაზე, რაც აღგვითქვა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა გერმანია-საბჭოთა კავშირის მთავრობათა მოლაპარაკების დროს 1955 წლის სექტემბერში. შემდეგ, იგი შემოიტანს წინადადებას ამავე დროს დაწყებულ იქნას მოლაპარაკება, რათა დაიდოს შეთანხმება საკონსულო უფლებებზე, რომელიც უწინარეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ მოხელეთა მოწესრიგებული ურთიერთობა, რომლებსაც აკისრიათ ოფიციალური საკონსულო ფუნქციების შესრულება, იმ ქვეყნის დაწესებულებებთან, სადაც იმყოფებიან, და საკუთარ მოქალაქეებთან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებიან.

მოლაპარაკების ადგილად ფედერალური მთავრობა ასახელებს მოსკოვს. იგი მზად არის უახლოეს მომავალში გამოგზავნოს მოსკოვში მოლაპარაკებისათვის დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელს ექნება საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი და დასადებ შეთანხმებათა პარაფირების უფლებამოსილება. მოლაპარაკების დაწყების ზუსტი თარიღი შეიძლება დაუყოვნებლივ შეთანხმებულ იქნას დიპლომატიური გზით. დასადებ შეთანხმებათა ხელმოწერის ადგილად ფედერალური მთავრობა ასახელებს ბონს.

საელჩო გთხოვთ აცნობოთ, ეთანხმება თუ არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ზემოაღნიშნულ წინადადებებს მოლაპარაკების შესახებ.

საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლავ განუცხადოს თავისი სრული პატივისცემა.

მოსკოვი, 1957 წლის 16 აპრილი.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს“.**

*რედაქტორი გ. ფირცხალავა.*

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

შენიანი, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი თავის თანამგზავრებთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილესთან ჯუ დესთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილესთან ხე ლუნთან, მანქანათმშენებლობის პირველი სამინისტროს მინისტრთან ხუან ძინთან, აგრეთვე სხვა თანმხლებ პირებთან ერთად იყო № 1 ჩარხმშენებელ ქარხანაში.

ჩინეთის მანქანათმშენებლობის ეს პირმშო, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირის დახმარებით, ახლა ყოველწლიურად უშვებს სხვადასხვა მარკის რამდენიმე ათას პირველხარისხოვან სახარატო ჩარხს. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა, რომელსაც ქარხნის მუშები და მოსამსახურეები მხურვალედ შეხვდნენ, დაათვალიერა ძირითადი საამქროები და მზა პროდუქციის საწყობი.

იგი ჩერდებოდა სამუშაო ადგილებთან, აინტერესებდა წარმოება, ესაუბრებოდა მუშებს.

მუშებმა და ინჟინრებმა სთხოვეს კლიმენტ ეფრემის-ძეს დიდი მადლობა გადასცეს მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივს, რომელიც მათ ყოველმხრივ დახმარებას უწევს. ამხანაგი ვოროშილოვი დაჰპირდა ამ თხოვნის შესრულებას.

საამქროების დათვალიერების შემდეგ ქარხნის დირექტორმა ვან ხოუშანმა მთელი კოლექტივის სახელით გადასცა კლიმენტ ეფრემის-ძეს საჩუქარი — ლითონისაგან ოსტატურად გაკეთებული ჩარხის მოდელი. საჩუქრის მიღებისას ამხანაგმა ვოროშილოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა შენიანის ჩარხმშენებლებს.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები იყვნენ სამრეწველო გამოფენაზე, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი პროდუქცია, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საწარმოები უშვებენ.

პროდუქციის ნიმუშების დათვალიერებისას ამხანაგმა ვოროშილოვმა მაღალი შეფასება მისცა იმ ჩარხების ხარისხს, რომლებსაც შენიანის საწარმოები უშვებენ.

დარბაზებში, რომლებიც დათმობილი აქვს ელექტროტექნიკური, ქიმიური და ქვანახშირის მრეწველობის პროდუქციის ნიმუშებს, კ. ე. ვოროშილოვს დაწვრილებით აინტერესებდა ქვანახშირის ამოღება ჩინეთში, ქიმიური სასუქების და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველი შხამქიმიკატების, საწვავი ფიქალიდან ხელოვნური სათბობის წარმოება და ამავე დროს ილაპარაკა საბჭოთა კავშირში მრეწველობის ამ დარგების განვითარებაზე.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ, რამაც დაახლოებით ორ საათს გასტანა, კლიმენტ ეფრემის-ძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენა მოწმობს ჩინელი ხალხის უდიდეს მიღწევებს მრეწველობის განვითარების დარგში.

პეკინი, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილესთან ჯუ დესთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილესთან ხე ლუნთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად ინახულა შენიანის კაბელის ქარხანა.

შენიანის კაბელის ქარხანა ახალგაზრდა საწარმოა, რომელიც რეკონსტრუირებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით. იგი მწყობრში ჩადგა 1956 წლის სექტემბერში.

კ. ე. ვოროშილოვმა ჩამოიარა ქარხნის საამქროები და დიდი ინტერესით ისმენდა ქარხნის დირექტორის შან ე-დუნისა და მთავარი ინჟინრის ლოუ ერ-კანის ახსნა-განმარტებას, ესაუბრებოდა მუშებს.

ქარხანაში მუშაობს რამდენიმე საბჭოთა სპეციალისტი, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ჩინელ მუშებში. ამხანაგმა ვოროშილოვმა მოუწოდა საბჭოთა სპეციალისტებს კვლავაც გადასცენ მთელი თავიანთი გამოცდილება და ცოდნა ჩინელ მუშებს, მთელი ძალები მოახმარონ საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

ქარხნის დათვალიერება რომ დამთავრდა, გაიმართა მიტინგი. მიესალმა რა ქარხნის მუშებს, კ. ე. ვოროშილოვმა აღნიშნა, რომ შენიანის კაბელის ქარხანა ამ გვარეობის საუკეთესო საწარმოა, რომელიც კი მას უნახავს. „ამ ქარხნის პროდუქცია, — უთხრა მუშებს კ. ე. ვოროშილოვმა, — მეტად ძვირფასია. მაგრამ მრავალგზის უფრო ძვირფასი ხართ თქვენ — შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც ამ ქარხანაში მუშაობთ, — სახელოვანი ჩინელი ხალხის წარმომადგენლები.

იყო დრო, როცა იმპერიალისტები ბატონებივით იქცეოდნენ თქვენს დიდ ქვეყანაში. ახლა ეს დრო სამუდამოდ წავიდა“.

განაცხადა რა, რომ საბჭოთა კავშირის სახით ჩინელ ხალხს ჰყავს ღვიძლი ძმა და ერთგული მოკავშირე, ამხანაგმა ვოროშილოვმა მიტინგის ყველა დამსწრის მქუხარე ოვაციაში გამარჯვება უსურვა ორი დიდი ხალხის ძმურ ურღვევ მეგობრობას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

შემდეგ მიტინგზე გამოვიდა ამხანაგი ჯუ დე, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა სპეციალისტებს ქარხნის რეკონსტრუქციაში გაწეული დახმარებისათვის და გამარჯვება უსურვა ორი დიდი ხალხის მეგობრობას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

# მაო ძე-დუნმა მიიღო იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია

პეკინი, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს საღამოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო იაპონიის სოციალისტური პარტიის კეთილი ნების დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ინეძირო ასანუმას მეთაურობით.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეები.


**ტელეგადაცემათა პროგრამა 23 აპრილისათვის**

20.00 — გროსმაისტერ მ. ტაიმანოვის გამოსვლა. 20.10 — საესტრადო კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ორკესტრის „რეროს“ სოლისტების მონაწილეობით. 20.50 — მუსიკალური ფილმი „ასი სერენადა“.

15 აპრილიდან **დაიწყო ხელმოწერა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე 1957 წლის მეორე ნახევრისათვის** დამტკიცებული კატალოგის მიხედვით.

„სოიუზპეჩატი“.

**დაიწყო ხელმოწერა ყოველთვიურ კრებულზე „Атомная техника за рубежом“.** კრებულში მოთავსდება თარგმანები უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიების, ბროშურების და მასალებისა ატომური ენერგიის გამოყენების ყველა საკითხზე.

კრებული გათვალისწინებულია მეცნიერი მუშაკებისათვის, ინჟინერ-ტექნიკოსთა ფართო წრეებისათვის, მედიცინის და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის, სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისა და სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

მოქალაქე **სტანისლავ პეტრეს-ძე ბერნატმა,** მცხოვრებმა შაუმიანის ქ. № 63, აღძრა საქმე რკინიგზის სახლი № 9-ა მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ივანეს ასულ ბერნატთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

**დ ღ ე ს**
**თბილისის თეატრებში**

**გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **მუსიკალური კომედიის** — დალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ანდროს ოცნება (აბონემენტი № 3, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ოჯახი (5 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს. და 3 ს.), **ფილარმონია** — უნგრული ესტრადისა და ვარიეტეს (ბუდაპეშტი) მსახიობთა გასტროლები (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

**კინოთეატრებში**

**რუსთაველის სახელობის, ისანი, საქართველო** (წითელი და მწვანე დარბაზი) — გული მღერის, **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — არაჩვეულებრივი კარიერა, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — გზა შენკენ, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — მთელი მსოფლიოს ჰაბუკები რომ..., **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, ყაზბეგი** — ჩემი ქალიშვილი, **დიდუბე, კომუნარების ბაღი** — ანგელი მთებში, **კოლმეურნე** — ბატონი 420 (I და II სერია), **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — კუნძულ საიპანის ტრაგედია, **ქრონიკა** — საესტრადო კონცერტი.

შვილი ელენე, რძალი საშა ვაშაკიძე, და მარიამ ოჯახებით იუწყებიან
**ეკატერინე ესტატეს ასულ მამისაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IV სოფელ გუჯაბაურში (სტალინირის რ.).

მეუღლე იაგორ, შვილები ჰიჰიკო, ალექსანდრე, და ლუბა, რძლები ეთერ, მერი იუწყებიან
**ელისაბედ ფოცხიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-IV სოფელ წიფნაგვარაში (ჩოხატაურის რ.).

მშობლები ანა, აკაკი, და მერი, ძმა გენრიხ, რძალი ენდი; მიხაკო, ანა, დავით ამაშუკელები ოჯახებით იუწყებიან
**ქეთო აკაკის ასულ ამაშუკელის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IV, 8 ს. გამოსვენება 25-IV, 5 ს. ფალიაშვილის შესახვ. № 6.

მეუღლე ვალია, შვილი ნუნუ, დედა ნინო აბაშიძე, დები ლიდა, მელო, მაშო, ძმები ვახტანგ, არჩილ, ალექსანდრე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
**იოსებ აპოლონის-ძე იმნაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-IV, 8 ს. გამოსვენება 25-IV, 5 ს. იოსელიანის ქ. № 37 (საბურთალო).

მეუღლე ანა, შვილები შალვა, სოსო, მიშა, რძლები ქენია, ნინო ოჯახებით იუწყებიან
**ვანო იოსების-ძე ნაცვლიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IV სოფელ ბოდბისხევში (სიღნაღის რ.).

მეუღლე პელაგია, შვილი ლიდა შვილით და ნათესავებით იუწყებიან
**იოსებ კონსტანტინეს-ძე ხვიტიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-IV ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბინიდან, პლეხანოვის პროსპ. № 26.

დედა ნადე, მეუღლე მარო, შვილები ლილი, ნოდარ, ძმები ვიქტორ, ბესარიონ, კოტე, ბუცა, ვარლამ ოჯახებით იუწყებიან
**კირილე გრიგოლის-ძე გრიგოლიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV სოფელ ჭითაწყაროში (ზუგდიდის რ.).

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის დირექცია, პედპერსონალი და X[2] კლასის მოსწავლეები იუწყებიან ამავე კლასის მოსწავლის
**ვიოლა ივანეს ასულ ბასიაშვილის**
გარდაცვალებას.

სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა იუწყება ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის
**მორდეხ დავითის-ძე ბააზოვის**
გარდაცვალებას.


უე 02207 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.